

# ლიტერატურული განცემი

№9 (385) 9 - 22 მაისი 2025

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თერი

დავით ქართველიშვილი

## 300-იაზი ვაზარი

ბიოგრაფიის მონაკვეთი  
ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან

დღე მეორე

11

გალვიძებამდე ცოტახნით ადრე ვენეციელ ვაჭარს მოკლე, მაგრამ უცნაური სიზმარი დაესიზმრა.

სიზმრის უცნაურობით დაბნეულსა და შეშინებულს უცემება გაელვიძა, ხოლო გალვიძებულმა ფიქრი უკვე ნანახი სიზმრის ფარულ მნიშვნელობაზე დაიწყო.

ვენეციელი ვაჭარი, სხვა მოგზაურების მსგავსად, მრავალმხრივ ცრუმორწმუნე ადამიანი იყო — სიზმრების ავ-კარგიანობის ამბავი კი მის ცრუმორწმუნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გახლდათ.

სიზმარში მშობლების სახლში მივიდა. სახლის კარი ღია დახვდა. ღია კარი გაიარა და სახლში შევიდა. მალევე დედა და მამა დაინახა. ისინი ტასტზე ისხდნენ და შუაში პატარა ბიჭი ეჯდათ. ვენეციელი ვაჭარი კარგად დაკვირდა ბიჭს და მასში გუშინ მონათაბაზარზე ნაყიდი ბიჭი ამოიცნო. უსიტყვოდ და სწრაფად გამოტრიალდა უკან. მშობლების სახლი დატოვა და უკვე გარეთ გამოსულს გამოეღვიძა.

იწვა და ფიქრობდა სიზმრის ფარულ, ირიბ მნიშვნელობაზე, მაგრამ უშედეგოდ. ახსნა არ ჰქონდა.

სწრაფად წამოდგა, იატაკზე მოთავსებულ საჩქართან მივიდა, შეალვიძა და უბრძანა:

„მომიყვი შენი ამბავი!“ — ბრძანების გაცემისთანავე მიხვდა, რომ ზედმეტად მეცრად და უხეშად იქცეოდა და ელდანაცემი ბიჭი იქვე დაამშვიდა — „თუმცა, მერე იყოს, ჯერ ვჭამოთ...“

რამდენიმე წუთი მომზადებამ წაიღო, მერე ქვევით ჩავიდნენ. ვენეციელმა ვაჭარმა საჩუქარი ისევ სასტუმროს მოსამსახურეს მიაბარა:

„კარგად აჭამეთ და მოუარეთ, მე საღამოს დავბრუნდები...“

სასტუმროს მოსამსახურემ თავი დაუკრა და საჩქარი გადაიბარა.

ვენეციელი ვაჭარი გარეთ გამოვიდა. ღრმად ამოისუნთქა და გაიფიქრა, რომ ამნამს მისთვის ცხადი სიზმარზე მნიშვნელოვანი იყო და უკეთესი იქნებოდა თუ მომავალ შეხვედრაზე იფიქრებდა, ხოლო ბიჭის ცხოვრების ამბავს საღამოს, უკვე გემზე მყოფი, მოისმენდა. ეს აზრი თავში სასტუმროს დატოვებისას მოუვიდა და ჭკუაშიც დაუჯდა.

შეხვედრამდე რამდენიმე საათიღა რჩებოდა.

სასადილო არ იყო ერთადერთი ადგილი, რომელსაც ქალაქში ჩამოსული ვენეციელი ვაჭარი აუცილებლად ესტუმრებოდა ხოლმე.

იყო ასევე საფუნთუშე.

ამ პირობითი დასახელების მქონე დაწესებულება მონათაბაზრის საწინააღმდეგო მიმართულებით მდებარეობდა.

და რადგან ვენეციელი ვაჭარი ხვდებოდა, რომ ფეხით გადაადგილება ამ შემთხვევაში ძვირფასი დროის ფლანგვის ტოლფასი იქნებოდა, დაუყოვნებლივ გადაადგილების სხვა, გაცილებით სწრაფი, საშუალების დაქირავება არჩია.

გუშინდელივით ცხელოდა, შეიძლება მეტადაც.

საფუნთუშე ორი, მიწისზედა და მიწისქვეშა, ნაილისგან შედგებოდა. მიწისზედა ნაწილში საცხობი იყო განთავსებული, ხოლო მიწისქვეშ — სამორინე.

ვენეციელმა ვაჭარმა გამოცდილებით იცოდა, რომ როდესაც კანონდარღვევა აშკარაა, მაგრამ მასზე კანონის დამცველი ხალხი ჯიუტად და შეთანხმებულად სდუმს, ეს ჯიუტი და შეთანხმებული დუმილი მართლაც რომ ოქროა და სწორედ ეს ადამიანები არიან ნამდვილი ალქიმიკოსები და არ ფილოსოფიური ქვის მაძიებელი შეშლილები.

ოდითგანვე ასე იყო, მაგრამ მომავალში ეს ასე აღარ იქნება.

სწორედ ამისთვის არსებობს საიდუმლო ორგანიზაცია.

საფუნთუშე რამდენიმე წლის წინ სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ქალაქში ხეტიალისას. მისი მიწისქვეშა ნაწილიც იმავე დღეს მოინახულა.

საფუნთუშე სრულად უცხოელებზე მუშაობდა, რადგან ადგილობრივი მდიდრები საკუთარ სახელს უფრთხილებოდნენ და ახლოს არ ეკარებოდნენ, ხოლო ღარიბები იმის ღარიბები იყვნენ, რომ აქ მოსვლაზე მხოლოდ ფარულად და უიმედოდ ეოცნებათ. დამღლელია ასეთი ოცნება, ზოგადად სიღარბეა დამღლელი.

ვენეციელი ვაჭარი საფუნთუშეში შევიდა. უკვე კარგად ცნობდნენ აქდა მისი მუდამ უცვლელი მოთხოვნებიც კარგად იცოდნენ, ჯერ ასკილის ნაყინი და კარაქნასმული ფუნთუშა მიუტანეს, მერე მიწისქვეშეთის კარი გაუღეს და ვენეციელმა ვაჭარმა ოცსაფეხურიანი კიბე ჩაიარა.

კიბეზე ჩასვლისას იმაზე ფიქრობდა, რომ რაღაც დროის შემდეგ იგივე კიბე უნდა აევლო.

ნინი ელიაშვილი

\* \* \*

ხან ამინდი მეძებდა და ხან ამინდებს ვეძებდი ის უჩემდ ვერ ძლებდა და მე უმისოდ ვერ ვძლებდი მე მის ტკივილს ვემეგობრე დიდი თავგამოდებით ლხინში დარდის მეგობარი როგორ არ ვაგონდები


როცა ჩემი ბედის წყარო ძლივსლა მონანეკარებდა მაშინ მივხვდი ღმერთი მწყალობს ღმერთი იდგა კარებთან ხან ლამაზი ქალის სახით ხან ექიმის ხალათით თუმცა კრინტიც არ დამიძრავს სუყველაფერს ვმალავდი ის ღროც ღება როს საკუთარ სივეებს იყვარებ ხვდები უნდა ნასულიყავი უნდა ნასულიყავი თითქოს დიდი კედელია და ამ კედელს ვლებავდე ზოგი მხოლოდ სიკვდილებით მიდის დაბადებამდე

IV-V

II-III







## ნინი ელიაშვილი

შეუფერხებლად ვადასტურებ  
ყველაფერს აღარც მიზნები და  
სუყველაფერი ჯადოსნური  
ამომაცალეს სიზმრებიდან  
როდესაც თეთრ ფერს ვენვალები  
გარშემო მუდამ ყვავებია  
ნუ გამახსენებთ მეძვებია  
თქვენგან რამდენი მყვარებია

დარდი დამტოვებს უცილობლად  
დამტოვებს შიშიც უძილობაც  
შეგიყვარდება ჩემი დარდი  
და არა მისი უძილობა

იმ ცრემლგარეულ წყალთან ვზივარ  
ამაში მხარს ვინ არ დამიჭერს  
არა მაქეს მეტი ფანტაზია  
და მინდა მხოლოდ წყალთან ვიჯდე

რა საოცარი შუქი აქვთ დღეებს  
მე ვყვავი თუმცა არვინ მიყურებს  
და ამიტომაც შენ ერთს გიმლერი  
ამ სიბრავიდან გამორიყული

რაც უნდა მოხდეს რადგან ვერ შევცვლით  
ღვინოში ცრემლი რატომ ვაზავოთ  
მოდი მანამდე დაგხარვეოთ ვერცხლი  
თუ გაიმეტებ ჩემივ საზღაურს

შეგიმსუბუქებს თუმცა მცირედით  
რომ სასიკვდილედ ყველა დღე ლირდა  
მე კი ვყვავი და სიჩუმეც და რვაციებიც  
მაგრად მეკიდა

ეს იყო ადრე დიდი ხის წინათ  
იცი ბევრ ამბავს იწყებენ ასე  
მე იმ უხსოვარ დღეებში მძინავს  
თითქოს და ჩემი არყოფნა მავსებს  
მძინავს და ძილის მძიმე მკლავები  
კვლავ დასადგომი დღისგან მიცავენ  
ვიცი ვერავის ვერ ვეყვარები  
თუ წარსულად არ გადავიქცევი

ვიცი და თითქმის არასდროს ვნალვლობ  
თითქმის ვერასდროს მნახავ ნალვლიანს  
რომ ვერასდეს ვიპოვე სახლი  
რომ უსახლობა ალბათ სახლია

მე ჩემი ღმერთის დუმილს მივათრევ  
მე მელოდება ჩემი ნაპირი  
სისულელეა ოცდამეათედ  
არ ვარ და ისევ ყოფნას ვაპირები

\*\*\*

ვხედავ ცრემლივით როგორ იქნება  
დაბადებიდან სრულყოფას ლამობს  
მე კი სავსე ვარ ცრემლების სეტყვით  
რომ კარგად არაფერი იქნება  
რომ ყველა ლუქმა უმარილოა  
მე მათ ხომ ახლა არაფრით ვეტყვი  
ისინი ჯერაც გვანან არაფერს  
ისინი უნდა იქცნენ ცრემლებად  
ისინი უნდა გავდნენ ნაქარგებს  
მათ ხომ არ ვეტყვი აღმოჩენებმა  
რომ აღმოჩენის უინი დაკარგეს

მე მათ ვარეშე ცხოვრებას ვსწავლობ  
ვინც ძილს მიანდო თავი ბოლომდის  
მათ ხომ არ ვეტყვი რომ ყველა ძვალი  
ელის ყველაზე ძირიფას მოლოდინს  
ვფიქრობ ყოფნისგან თავს შევიკავებ  
თუ თავს ბალიშში ძლიერად ჩავრგავ  
მაგრამ წვალებით ნაპოვნ სიყვარულს  
სიზმარშიც ვკარგავ

და ბოლო დროა სიზმარს ცხადისგან  
ვერაფრით ვარჩევ  
ვერაფრით ვწინები ერთმანეთში აზელილ ფერებს  
მათ ხომ არ ვეტყვი დღესაც ვარდისფრად  
ჩავცქერ უფსარულებს  
რომ თანახმა ვარ ყველაფერი ყველაფრის მერე  
ლამაზი დარჩეს  
ჩემი ნატვრებიც მათ შეუსრულდეთ

\*\*\*

არ დამანება თავი ბალახმა  
ვერ დაგაღწიე თავი მის სურნელს  
ბალახი მინდა როცა არა ხარ  
რომ ხარ მითუფრო ბალახს ვისურვებ  
და ისე ვცხოვრობ ერთად ბალახთან  
ხელი არსდროს არ მომცარვია  
ორივემ ვიცით ის რაც არ ახდა  
ბოლო წუთამდე საოცარია

რა შეიცვალა მითხარ ნანახით  
მე რომ მინდოდა ის სალამია  
აუ რა მაგრად მიყვარს ბალახი  
აუ ჩემ გულზე როცა ამოვა

\*\*\*

ჩვენ ხომ დავიწყეთ ეს სიზმარი სუფთა ფურცლიდან  
თან ჩავიყოლე ამ სიზმარში სიცხადის ეჭვი  
სად შემიძლია ჩემგან მოკლულს ადგილს უუცვლიდე  
სად შემიძლია ჩემი გული გავდეს უწინდელს  
სად სულს ჩამიმსხვრევს სარევავთ ნასროლი კენჭი  
ჩემი წარსული მამაჩემის მინის მკლავები  
ხსოვნის დალმართი უფრო მეტად ხდება ციცაბო  
სად ჩვენს ადგილებს ვერასოდეს დაკავებენ  
სად დაბადების მოგონილი ამბით გავებით  
და დაბადება უნდა ვიწამოთ

ხშირად მაშინებს სხვის სხეულში უცბად მოხვედრის  
აზრი იმ უცხო სამყოფელის ჩემით დანაღმევა  
სად შემიძლია დავიკერო რომ შენ მოხვედი  
არ მეტანოდეს უკან მოხვედვის  
არ მაშინებდეს ძები დანახვა

ჩემი ცხოვრება მომაკვდავი კაცის არქივი  
სად მზე ანათებს ჩემ წაცხოვრებ ჩამქრალ მიწურებს  
სად შემიძლია გამხარდეს ყველას მაგივრად  
და შენ მიყვარდე ამ ქალაქივით  
სადაც მომკლეს და მერე მირწმუნეს

\*\*\*

ხანდახან ვფიქრობ თვალს დავხუჭავ ყველა გაქრება  
და როგორც მინდა ისე ვიჯავრებ  
მაშინ რას მეტყვით ღვთისმოსავნო თქვენგან ნაქებმა  
თუკი უკულმა გადავისახე  
ერთხელ პირჯვარი  
ხანდახან წნატრობ თუ არავინ დამელოდება  
უმტკივნეულოდ შევიხორცებ ვინრო გალიას  
თქვენთან ჩაძირულს რას მომახლით მაშინ ლოთები  
ბოლო ჭიქა თუ ველარ დავლიე

ხანდახან ვფიქრობ დავისვენებ როცა მოვკვდები  
არ მეტამება დაკარგული ჩემი გვირგვინი  
და თქვენთან ნაპრძოლს რას მომანერთ პატრიოტები  
თუკი სამშობლოს თვალწინებთ

ხანდახან როცა მიწევს ფიქრის დანაწევრებით  
გამოვიგონონ წაგლეჯ-წაგლეჯ ირგვლივ რა ხდება  
რას დამაბრალებთ ძმები მწერლები  
თუკი ფანჯრიდან არ გადაცხტები

ხანდახან როცა მიწევს ფიქრის დანაწევრებით  
გამოვიგონონ წაგლეჯ-წაგლეჯ ირგვლივ რა ხდება  
რას დამაბრალებთ ძმები მწერლები  
თუკი ფანჯრიდან არ გადაცხტები

ხანდახან მტანჯავს მაგრამ წარსულს ვერ გავიმეტებ  
ყოფნა სულ რაღაც სამჯერ მომინდა  
რა მოგიხერხო ჩემო კარგო ყველა იმედი  
უკვე მომიკვდა

\*\*\*  
იცი ქართანაც მიცხოვრია რომ ალარ დამრჩა  
ერთი ადგილიც სადაც მახვილს არ გაუსულია  
ყველაზე მძიმე ჭრილობა ხომ გარედან არ ჩანს  
სასწაულია  
რომ კოდევ უცდი გამხმარ ტოტზე ჩიტის მოფრენას  
მოფრინდეს რამე გიგალობოს ამბავი გამცნოს  
ეს მოლოდინი გამომდგარა წუთისოფელი  
დალლილ კაცო

პირს ვეღარ უშვერ მწველ სხივებს და  
ჩრდილებს აგროვებ  
მხრეპამოყრილი ახლა მხოლოდ ერთ ყვავილს უვლი  
სადმე მიუვალ ადგილებში გადასარგავად  
შენივე გულის

და ისე მწყობრში დგება ხოლმე უცებ ყოველი  
ლამის შენ თვითონ მიჰკრა თითი ჩუმად პირველ ქვას  
თითქოს ის ზარი. გაწყვეტილი. იმ ზარს მოელი.  
გადმოგირევას

თითქოს არავის არ ესმოდა ბავშვის მუდარა  
გინდა მიმართო გულში იმ ბავშვს: პატარა ფიფქ  
ნუ გეშინია ბოლოს მაინც რაც არ მომხდარა  
იმაზე ფიქრობ

\*\*\*  
რამდენ ხანს იყო ან ის ეზო ან ის გარგარი  
რამდენ ხანს იყო თეთრ კედლებში უამინდობა  
მე როგორც პოეტს ყველაფერი მქონდა მაგარი  
მე როგორც პოეტს მხოლოდ ლექსში ყოფნა მინდონდა  
სადაც ვცხოვრობდი არაფერი ქონდა იმ ოთას  
შენოვეს სათქმელი ოთას სადაც სული მძვრებოდა  
შენ ხომ იცოდი ყველა ქალი ვინც მიღიმოდა  
მიყვარდებოდა

ახლა ვიხსენებ ვინ რამდენი ხანი გაუძლო  
ჩემს მწველ სურვილებს სულიერმა გინდა უსულობ  
ვინ ილბლიანი აღმოჩნდა და ჩემს გულს დაუძვრა  
ვინ გავწირე და ერთი სიტყვაც არ შევუსრულე

ვიხსენებ მაგრამ ვერ ვიხსენებ მათთან რამდენ ხანს  
გაერჩერდი თითქოს გამუდმებით ერთ გზას ვეძებდი  
ზოგს ხმად ვინახავ ზოგს სტრიქონად და ზოგს ნატეხად  
ვერ გაცოცხლდება მათგან ვერცერთი



#### NN

მე ასე მინდა, მჯეროდეს, მნამდეს,  
რომ რაღაც იყო, სიზმრების გარდა  
და ოდნავ თბილი ნახშირი მწვავდეს,  
დღის სიმართლისგან მფარავდეს ფარდა.

მე ასე მინდა, იყოს ფერადი  
ის, რაც ლანდია რუხი და შორი,  
ორი, რომელიც ნოლის ჯერადი  
მალე გახდება ერთების შორის.

//

The sun is warm, the sky is clear და  
მთანმინდის ფერდობს ადგას ნათელი.  
ამოთქმად ჩემი ბოდვა არ ღირდა,  
ასაუღერებლად ჩემი სათქმელი.

სიყვარულს თითქოს ბევრი არ უნდა,  
მაგრამ არაფრით დავხვდი, არარით,  
Nor peace within nor calm around და  
გამოსავალიც არსად არ არის.

#### აპრილი

აპრილი მართლაც ნაბიჭვარია,  
ხსნის ყვავილებსა და ზამთრის ჯადოს,  
ნათელში აფენს არამხდარ სიზმრებს,  
სიმხდალეს ჩემსას და მინდა, ვცადო,  
სახე დავმალო, მზეს გავექცე და  
თაგზე მატყედი ყოველთვის ამ დროს.

დათბა და მტვრიან გაზაფხულს ვსუნთქავ  
ან სახლში ვზივარ მტვრიან წიგებით  
და როგორც მნარე მოცემულობას,  
ვიჯერებ, ერთად რომ ვერ ვიქნებით,  
უხმიდ ვქვითონებ, უცრემლოდ ვტირი,  
მტკვრის გაღმა გარბის ჩემი ფიქრები.

იქ გოგო ცხოვრობს, მაისის მსგავსი,  
ეზოში რომ დგას, იმ თუთის ტოლი,  
თხელი და ოდნავ არამდგრადია,  
როგორც ხელწერა რვეულში სკოლის,  
როგორც „მიყვარხარ“, ჩუმად ნათქვამი,  
როგორც ნიშნობის ბეჭედის რგოლი.

დათბა და ვიცი, ტოტები კანრავს  
ფანჯარს, მოვა მასი მალე,  
შემოახტება სქელი კატა და  
ლამაზი გოგო გაახელს თვალებს,  
შიძველი ივლის სიცხეში გოგო  
და შემურდებათ მეზობელ ქალებს.

მაისი მოვა და აღმოჩნდება,  
რომ თუთა მართლაც სტუმრობას გეგმავს,  
თხილამურებთან გადალაგდება  
ზამთრის ქურთუები და შავი ჩექმა,  
თარის ფერადი დინოზავრები  
უნდა გაართონ ჩემს შემდეგ სხვებმა.

სხვის ვნებების იყვავებს ვარდი  
და ერთგულების ედელვაისი,  
შაშვის ჯხეჭახი გაღმა პარკიდან  
გოგოს ოთახში სხვე გაისმის  
და ახელს ცისფერ თვალებს ცებივით  
ლამაზი გოგო, მსგავსი მაისის.

#### ღალატი

ჩვენს შორის მანძილს არ ვთვლი, არც არის,  
შენ გეხუტები, თუდაც შორიდან,  
რადგან უშენოდ არასაკმარი  
ვარ, როგორც ცალი წინდა ორიდან.

ჩვენს შორის მანძილს არ ვთვლი და მაინც  
ჩახუტება ჩვენს შორის, ქალაქს  
როლი აქვს ჰაერის, სიცარიელის,  
რომელსაც იგი ხმაურით ფარავს.

ჩვენს შორის მანძილს არ ვთვლი და თითქოს  
მინდვრის ყვავილებს ვსუნთქავ თმებისას,  
ტურით ვიპარავ ლოცვების სითბოს  
და თვალის ცის ფერს შებინდებისას

ჩავყურებ, ვცდილობ, ვუპოვნო ფსკერი  
და ვყირავდები რუხ ცაში თავით.  
რად უნდა ასეთ სინაზეს მტერი,  
რატომ დაერქვა სახელი ავი?

#### ვყმუი და ვჰიპრობ

ვყმუი და ვფიქრობ:  
დამთავრდა  
ჩემი და შენი შეხება,  
შენებ არ უნდა მატარონ  
გახარებულმა ფეხებმა,  
შენებ არ უნდა ჩეარობდეს  
გული ყმანვილის თითქოსდა  
მორჩა  
და ჩვენი ამბავი  
ხრამისკენ გადაიკოსა,  
დამთავრდა,  
აღარ იქნება  
არც კოცნა, აღარც ლოცვა და  
ლევად მოვეკალით ეს ვნება,  
სანამ ეს ვნება მოგვალავდა.

მომცრო ფანჯრიდან შემოსული სინათლე თვალს ჭრიდა. მზის სხივი ნელ-ნელა-ობით აღწევდა ფანჯრისათვის ამოჭრილ ლიობში; ჯერ კიდევ ნორჩი, ქვის კუთხეზე გარდატყდებოდა, ტრაექტორიას იცვლიდა, შემდგომ კი შუშის ნამსხვრევზე არეპლილი თვალში ჩაუდგებოდა. მოჭუტული თვალიდან ძლივდლივიციბით ხედავდა რაღაც მბრძნიანავ სფეროს, მოკაშაშესა და გაბრწყნებულს, რომელსაც გარშემო მოლურჯო შვერილები გამოზრდოდა. ამ ორი ფერის გარდა სფეროს ოდნავ ღია წითელიც შერეოდა. კანგამაგრებული, ფრჩხილებგაბაზავებული ხელით თვალებს ისრესადა, მძიმედ და უხეშად. ხელებს უქნევდა მზის მოკაშაშე ნათელს და გვარიანადაც შეუკურთხებდა ხოლმე. ხელების ფაფხურით ეძებდა იატაჭე რაიმეს, რათა მისი თვალის მაგიერ შეეთავაზებინა მზის ნორჩი ნათელისთვის. მოფაფხურე თითებზე კენჭების წვეტიანი შვერილებისა და შუშის ნამსხვრევების გარდა არაფერი მოხვედრია, თუმცი მისი გაუხეშებული კანი ვერც მათ არსებობას გრძნობდა. მცირე ხანს საკუთარი მკლავი ჰქონდა აფარებული, გაზინტლული მოსაცმელით დაფარული მკლავი დიდხანს ჰქონდა მიშვერილი მზისთვის. გრძნობდა, როგორ უთბებოდა ჯერ მოსაცმელი, ხოლო შემთბარი მოსაცმლიდან სითბო გაძუნგლულ კანზე გადასდიოდა. სიამოვნებდა. უცნაურ ურულობას ჰქონდა, აი, ისეთს, ღუტუნისას რომ უგრძნია. საკმაო ხანს ჰქონდა ასე. ჰაერში გამოკიდებული მკლავი ჯერ რიგიანად შეუხურდა, შემდეგ კი გაბუჟება დაეწყო. ნელ-ნელა წინკვნამ იმატა და ისეთი შეგრძება ჰქონდა, თითქოს ათასობით ეკალი ერთდოროულად, გამმაგებით შეერჭო საცოდავ მკლავში. ხელი ძირს სწრაფადვე დაუშვა, ვერც მიხვდა, რატომ იგრძნო ამხელა დისკომფორტი. გაბუჟებული მკლავი არ უცხოებოდა. ზემოთ-ქვემოთ რხევას მოჰყვა, გაშმაგებით იქნებდა, თანაც ამ მოულოდნელ, უცნად ტკივილს შეუკურთხებდა ხოლმე. დაბუჟება თანდათანობით უნელდებოდა, საბოლოოდ სულაც გაუქრა, მინავლდა და ღიტინის მაგვარი წინკვნალა შემორჩა. ხო, ისევ მზის სხივი... წყელი მზის სხივი! ნეტავ საერთოდაც ნაეთრეოდეს, ნეტავ რას მოვიდა? ხო, ნამდვილად... კი, აუცილებლად ის იქნებოდა, რა ერქა? აღარ ახსოვს. არადა, რა უცნაური სახელი ჰქონდა. რანაირად დამავიწყდა... სულელი, სულელი და გამოთავყანებული, არა, ის სრულებითაც არა, მე, მხოლოდ მეღიას, დიას — აი, ღმერთს როგორ ვყვარებივარ, სწორედ ეს მტკიცებული და მიმიკა და ადამიანი არ უცხოებოდა. სახესთან მიიღო მოშავოში გადასული, პირდაპირ სასაული იყო... საოცრება. სახესთან მიიტანა და მზის გაშმაგებულ, თავებდ სხივებს მიუშვირა. უცერად მინა მრავალფერად აკიაფდა... ცისარტყელას ყველა ფერი თითქოს ამ მოწყენილ ყავისფერში გამოიმწყვდა, დაგროვდა, შეიკრაბა და მთელი ძალით აკიაფდა. მოულოდნელად მთელი ეს მრავალფერად აკიაფდა... ცისარტყელას ყველა ფერი თითქოს ამ მოწყენილ ყავისფერში გამოიმწყვდა, დაგროვდა, შეიკრაბა და მთელი ძალით აკიაფდა. მოულოდნელად შეიღება და აფერადდა. თითებზე, გაუხეშებულ კანზეც კი რაღაც სასიამოვნო, თბილ სისველეს გრძნობდა. აი, ისეთი, საყვარელი ქალის მოფერებისას რომ უგრძნია, რაღაც ურულილის მომგვრელს, სასიამოვნო... ხო, ნამდვილად, იგივე იყო. კი, როგორ არა, არასდროს, განა ეგ არ ერქა. ოჲ, როგორი სასიამოვნო იყო, როგორი რბილი და ფაფუკი... სისველე, წითელი სისველე იგრძნო ბოლოებგამურულ თითებზე. მინა წურწურით იკანრებოდა რაღაც ცსინით. წითელი ხაზები მინიდან გადმოდიონენ, ცრემლივით სქლად შეკრუბილები მინის კიდეზე ეკიდებოდნენ და ცვიოდნენ, უცაბედად, ყოველნაირი ზლაზვნის გარეშე. წკაპ და მორჩა... მტკროანი, ნაცრისფერი იატაკი წითელი რგოლებით იფარებოდა.. ახლადა შეხედა, მინის ნამტკრევი მიაგდო და განითლებულ, აქა-იქ გაზეპილ თითებს ყურადღებით მიაშტერდა. როგორი სისწრაფით წვეოთავდა რაღაც წითელი მასა თითებიდან, ის, რამაც თითები დაუსერა და ეს მზის სხივი ხომ კიდევ ცალკე... რატომ გაუწყალა ასე გული, ხომ შეიძლება, თავი დაანებოს, ხომ შეიძლება? კი, შეიძლება კი-

A vertical photograph taken from a balcony or terrace. The view is framed by dark vertical railings. Beyond the railings, a wide body of water, likely a river or lake, stretches towards a distant, hilly shoreline. The sky above is filled with soft, greyish clouds, suggesting an overcast day. The overall atmosphere is calm and contemplative.

და ჯერ კიდევ გამობურცული შუცელი. თვალები ისეთივე ჰქონდა, ოდნავ ჩამერალი, მაგრამ მაინც ისეთივე... სახე კი მომზკარი, ეზოში რომ ყვავილი ნახა, იმას ჰეგავდა, ლამაზი, მაგრამ მომჭკნარი... როგორი კარგი იყო. სასიამოვნო... ავიღე, ჩემთან მქონდა, ბალიშის ქვეშ. ზენარი, თეთრი ზენარი, სისხლით დაფარული, იქიდან გამოდენილი სისხლით გაულენთილი... ოჟ, როგორი სასიამოვნო... სისხლი, ხო, სისხლი. იქ ნახა, სწორედ იქ. კარგად ახსოვს, თუმცა არც არასოდეს დავიწყებია სინამდვილეში.

შორიდან მატარებლის ხმა მოესმა. დანაბავით მხოლოდ სხივს ხედავდა, იმ გამანწილებელსა და ნერვებამშლელ სხივს, ასე მოურიდებლად რომ ელოლიავებოდა, ეთა-თუნებოდა კედლის სწავლისფრეს. ქვის კიდეზე ხერხემალში გადატეხილი, იქვე, მოხუცი კაცივით ჩამომჯდარი, სხივი ისევე აცხუნებდა, როგორც წინათ, ოლონდაც ახლა მისი სამიზნე სრულებით სხვა იყო. ლიანდაგებზე რკინის შეხებისას გამოწვეული ჭახაზი ძლიერდებოდა, მატარებელი ახლოვდებოდა, სადღაც აქევე შეიძლება კედლის გვერდითაც ჩაველო. კი, ნამდვილად ასე იქნებოდა. იქ იყო, გუშინ (მგონი) რომ ნახა ლიანდაგები, გაქუცული, გამომშრალ მინაზე დაშენებული, კი, ეს იყო. იქ იქნება აუცილებლად. აქა-იქ ხის მსუეყ ფიცრებს შორის ბალაზი ამოსულიყო, გატეხილი შუშის ბოთლების და სიგარეტის ამოცარიელებული, მიმოგლეჯილი კოლოფები ეყარა. იქვე იყო ამ სიგარეტის ნამწვიც, ზოგი მინავლული, ჯერ კიდევ რომ ზედ ატყვალია სიმურვალისაგან გამოწვეული სინითლე; ზოგიც უკვე მინავლული, ჩამნვარი, მევდარნაცრისფრად შემორჩენილი; ყავისფერ-მონითალო, ლურჯ-მომწვანო და მოყვითალო (ერთად ან ცალ-ცალკე) შუშის ნამსხვრევებს შორის ეულადშიტოვებული, მოშორებული და ხო, პატარა ლეკვები, ბალანაჯაგრული, ბალანში ნაკუნებ-და მტკვერმომნყობილები, ფეხნაკლულები, ზოგს წითელი თვალებიც ქონდა, აი, ისეთი, მგლებს რომ აქვთ ხოლმე დამით, ოდნავ მუქი და უსასრულობისფერი. ეს ლეკვებიც იყვნენ, კი, მახსოვს, თანაც კარგად, ყველაფერს სუნავდნენ, დაკვანჯილობდნენ, დაჩოთირობდნენ ლიანდაგებს შორის და საჭმელს ექებდნენ; მონარჩენ, გადაყრილ ძვლებს სადმე, რომ დაინახავდნენ ხოლმე, ამორებდნენ რაც კი ხორცი ჰქონდა. ნამწვებსაც სუნავდნენ, ზოგს ცხვირიც კი მიენვა დაფერფლილი სინითლე რომ დაწნოსა, უცებშეტი, ისე, პატარა ბავშვი რომ შეხებები ძილი, კი გაიქც-გამოიქცნენ კუდამოძეულები... ასე იყო, მახსოვს... და ხო, ნამწვები ეყარა, მინარჩენი, დასადამპლებლად განწირული... მატარებლის ხმა უფრო ძლიერად ისმოდა, ჭახაზი ყურისნამდებ კივილად იქცა, ყურებზე ხელი აიფარა, გაზინთულ-მოლიპული ხელები დიდ, გაცხიმიანებულ ყურებზე. რამხელა ხმაა, დიდი ხმა, არ მომისმენია აქამდე, კივილი კი გამიგია, ის რომ ყვიროდა ხოლმე, ხმამაღლაც უყვირია. საოცარია, საოცარია... გაუვლის ერთს და ამ მინავლებულ ლერებს საერთოდ ჩააქრობს. ჩამოკიდებულ, ჩაფერფლილ ბოლოებს კი გადაყოლებს ქარს და ალარმოაბრუნებს უკან; მიისვენებს ლიანდაგებზე, დანვება, სალებავს შეერევა, ნამნესაც შორს მოისვრის, სადმე გადააგდებს... აი, შუშის ნამსხვრევებს კი ვერაფერს უზამს, მძმეა და იმიტომ, სულ დიდი, შეაცივოს, წამოუბეროს... სულ ეს არის, მაგრამ ვერ ააფრიალებს და ვერაფერი... სახელონამოს-მული ხელი სახიდან ჩამოისხნა, მცირეოდენი კივილობა გაისმა, ხოლო მერე მისი დაგუდული წამოკენესება აქა-იქლა თუ გაიმზიანებდა. კი იყო ალბათ ბავშვობაში, კი ახსოვს თითქოს, მაგრამ მაინც ვერ იხსენებს ბოლომდე, ახსოვს კია, იყოდა... მატარებლის ხმა სრულებით მიინავლა, მზის სხივი კი, კვლავ მოხუცი კაცივით მისვენებული, ნაცრისფრად შეფერილ კედელს ეთამაშებოდა. როგორ არ მახსოვს, ხო, მგონი, ესე იყო. ის კია, უარი მითხვა. ალარც მიცდა-იარამე. ნეტა მე მაინც მეცადა. იზამდა კი რამეს? ნუთუ... გამარტყამდა და ლირსიც ვიქენებოდი... მატარებლის ხმა სრულებით მინავლულიყო.

ის სიმახონჯე, თანმაინც ლამაზია... თუ-  
რმე ხანდახან სიმახონჯეშიც შეიძლება, მშ-  
ვენიერება აღმოაჩინო. ნუთუ? კი, ასე ყო-  
ველთვის... რანაირად დაცურავს, ლპება,  
იძლება, მაინც ლამაზია — შემოდგომას  
უხდება. მუქშავი გუბურა, ჭუჭყისფერი  
წყალი, წვიმის შემდგომ ამომტვრეულ მი-



თოსნ წერტყმას იწყებს, ეფერება, ეთამაშება, გულმკერდს უთათურებს, კუდს იქნევს, უცრად კი ხელი ორ მკვრივ ძუძუზე უდევს, ის არის თითქოს, ეთამაშება, ის კი კუდს იქნევს, რბილბარძაყდაყოლებულ ფეხად ქცეულ კუდს. მიდის, მიინევს, როგორც გლეხიხაოიან მარაგზაზე, ოპ, ის არის თითქოს, კი არის, ნამდვილად... არ უნდა იყოს. იმისნაირი ტუჩებია აქეს, ალბათ დაბრუნდა, სად იყო ის? სხვაგანო, ეუბნებოდნენ, ალბათ ატყუებდნენ, ახლა ხომ თავისი თვალით ხედავს, თითებით, იმ ჭუჭყინი, ბოტოტა თითებით შეიგრძნობს მის ყოფას, და ხო, ეს დამპალი ტუჩები, ენაფება და მის ორ დრუნწის ცხელი ენა ლოშნის. აღარც თითებს შორის გამოიტყვრალი სიმკვრივე, ის კი კუდს იქნევს, გაშმაგებით, სიხარულით, ალბათ უსარია, ფოთოლი კი კიდევ ლპება და იხრნება... ალბათ ის იყო. არა, როგორ იქნებოდა, მგონი, ან როგორ გად... კი, თითქოს და... ხომ მახსოვოს, არა! აღარც არაფერი გახსოვს, კი, მგონი, ასეთი. ასეთი იყო, ის ძუძუები, ის ტუჩები, ის უნდა გას... საზიზღრობაა ეს გუბურაც და შენც, საზიზღრობაა. ყველაფერი მეზიზღება, არაფერი მიყვარს, მხოლოდ ის, ხო და ის, და ის... შემოდგომისფერი ფოთოლი კი, ხერხემალგამოკვეთილი და ჩამომხმარი, ჭუჭყიან გუბურაში კვდება, იხრჩიობა და ლპება... ის კი ისევ კუდს იქნევს, გაშმაგებით, სიხარულისაგან. ალბათ რაიმე უხარია.

სად ჯანდაბაში წავიდა? მგზონი, აქ იყო...  
არა და აქ ჩავდე, წამდვილად... ოჟ, ის წეული,  
სულ იმის ბრალი იქნება, სად ჯანდაბაშია,  
საზი ზღარი, დასანეცვარი. თან როგორ  
მიიზღაუნებოდა, გეგონება, კოჭლი ძალი  
მითოხარიკობსა, მიხოხავდა, როგორც შე-  
ეძლო... მირბოდა. ხო, კოჭლი ძალივითი.  
ზანტად, მაგრამ... კი, წამდვილად. კი აქ ყო-  
ფილა, არა ეს სხვა რაღაცაა. ის არა? კი, აი,  
ის რბილი სიმკვრივე, აქ ყოფილა, აგერ არ-  
ის, კი, კი, ეგ არის, წამდვილად.... თეთრი,  
აქ-იქ შელახული, ლაქებმოკიდებული ქა-  
ლალდი ნება-ნება შემოხახნა, ნელა, სიფრ-  
თხილით, რომ შიგნით არ დაეზიანებინა,  
ქალალდის ყოველი გაჭრაჭუნება თვალებ-  
ში სიხარბეს ულვივებდა. საბოლოოდ შემო-

— აღარ უნდა გაუშვა, მართლაც, აღარ უნდა გაუშვა. დიდი არა, არც პატარა, ცოტა კი ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, ვინმებს თუ შეხვდებოდა, კი ვაპირებ წასვლას, ვაპირებ, აქ აღარ მინდა. აღარც დამედგომება, მომბეჭრდა, ყელში ამომიყიდა. წავა, სად წავა, სად? არ ვიცი, მაგრამ წავა, სადღაც შორს, რომ დაივინყოს, დაივინყოს და აღარ გაახსენდეს. როგორ არა, წაიყვანს, მარტო კი უნდა, მაგრამ არ შეანუხებს, სრულებით არა, კარგიც კი იქნება... კარგი იქნება...

ნვიმდა. ყვითელი, სანთლისფერი თო-  
თები აღარ ელამუნებოდა. თხელი, ქორფა,  
გამოყვანილი თითები. როგორი სიყვარუ-  
ლით იხსენებს ხოლმე, პატარა, წაგრძელე-  
ბული თითები და ძვლისფერი, ამოსუფთა-  
ვებული ფრჩხილები. რამდენიმე ძარღვს  
ამოელრუტნა ხელის ზურგი, აქა-იქ, ლამა-  
ზად, ისე, რომ არ სტკენოდა, ის კი, ეს —  
არა! ვეღარ გრძნობდა. ხმა? ხმა აღარ ესმა-  
ს, თითების აორთქლდა, ჩაინვა, იყო კი?  
იქნება, არც ყოფილა, ხომ არ მოელანდა?  
რომ არ დაბართვა აქამდე? პატარა, თეთ-  
რეულივით გამჭვირვალე მოჩვენება მოვ-  
აო, ხომ მაშინებდა... იქნებ მართალი იყო,  
მართლაც მოვიდა და მეხუმრება, მაგრამ  
ეს ყვითელი იყო, თითქოს მზეზე გახუნებ-  
ულაო. შემომიკეცავდა ხოლმე ზენარს (სი-  
გრილეშმ, თხელს რომ მაფარებდა), შემო-  
მიჩურთავდა ხოლმე ფეხს ქვემოთ, გვერ-  
დებთანაც, ბარძაყების ქვე ხელით შემო-  
მიჩურთავდა. წინ წახრილი შუბლზე მაკო-  
ცებდა სველი, პატარა ტუჩებით, ხო, მისვე-  
ლდებოდა ხოლმე შუბლი (მხოლოდ?), ტუ-  
ჩებზე მიკრობილი სველი თმა რჩებოდა, მა-  
გრამ მაღვევე ამძვრალი უკვალიდ ქრებო-  
და. ვეხდავდი ხოლმე, კი, ვხედავდი, როგ-  
ორ უტოკავდა დახორკლილკანიანი ძუძუე-  
ბი, აუდ-ჩამოუდიოდა... ამოსუნთქვა-ჩასუ-  
ნთქვა-ამოსუნთქვა — მაღლა-დაბლა-მაღ-  
ლა — ტოკავდა-ტოკავდა-ტოკავდა... ბაგშ-  
ვობაში ძუძუს ანწევებდა, პატარა იყო, მახ-  
სოვს, ძუძუსჩაფრენილი როგორი სიამოვ-  
ნებით შევიგრძნობდი რძის სითბოს. იყო კი  
ახალი? მერე იმ ადულებულ რძეს დამიდ-  
გამდა მაღლალი, ნათალი ჭიქით, ისეთი კი არ  
იქნებოდა. იქნებ იყო კიდეც, არ მახსოვს,  
მაგრამ, მგონი, მაინც არ იქნებოდა... ხელ-  
სახოცით მოინწენდდა ხოლმე, მომიშრ-  
ალებდა ზედმეტ წვეთს და ძუძუს კაბის ნა-  
კვთებში ჩამაღლავდა. მიმაწვენდა, მიაძინებ-  
და და უყურებდა. ნეტავ კი რას ფიქრობდა  
მაშინ, შეიძლება, არც არაფერს. იქნებ სრ-  
ულებით საპირისპიროს? ეს კი არ მახსოვს,  
ძალიან, ხო პატარა იყო, უნდა ახსოვდეს  
წესით, უარი კი მეტად მწარედ ახსოვს, მნ-  
არედ და მტკიცნეულად. თეთრი წისლიც ხო-  
იყო, აი, მაშინ რომ დაფარა ტყე, ხები კან-  
ტი-კუნტად მოჩანდენ რძისფერ ბურუს-  
ში, ლანდებად იკვეთებოდნენ. ისინი კი მა-  
რთლაც მოპგვანდნენ სულებს, ტყის ბო-  
როტ, იქნებ კეთილშობილს, სულებს, აქ-  
იქ რომ დაძრნიან და ცდლობენ, თავიანთი  
ზეცისმიერი (თუ ქვესკნელისმიერი) მიმზი-  
დველობით ვნების საცეცებში მოაქციონ-  
და მოგუდონ, მოგუდონ, შემდეგ კი იქვე სა-  
დმე ჩამარხონ ან ძღვნად მიართვან ტყის  
მაღლამდგომ სულებსა და ღვთაებებს....  
მუხლებზე მხოლოდ წიგნი ედო, კაბის თხე-  
ლი ნაკვეთით დაფარულ ფითქინა, აბუსუ-  
სებულ მუხლებზე დაედო სქელყდიანი წი-  
თელი წიგნი, თეთრი ასოებით რაღაც ერე-  
რა მოჩუქურთმებულად, მოკავარახტინებუ-  
ლად, ვერ ვკითხულობდი, უბრალოდ უყუ-  
რებდა. კითხულობდა, ტუჩების (კმაცუნით  
იმეორებდა ამოკითხულს, თან ღიმილისა-  
გან ტუჩის კიდეები ეპრიხებოდა. იყო, იყო-  
მეთქი, კი, საე ამბობდა, უნდა გჯეროდეს,  
უნდა დაუჯერო, მხოლოდ ნდომა არ კმარა,  
ხომ გინდოდა. კი უნდოდა, უნდოდა გაშმა-  
გებით, წესით, სწორი უნდა ეთქვა... წაგიდე  
უნდა წავიდე, აუცილებლად მჭირდება,  
ყველაფერზე მეტად მჭირდება... ფარუნი,  
იმავენიარი. წინასთან შედარებით უფრო  
ჩუმი, ვირთხა — სქელი და სახიზღარი, მა-  
ტლისკუდა. გაირბინა, შუშებს შორის გაი-  
ფრჩუნა. გამოჩნდა და ჩაინთქა, საიდანაც  
იმგა, იქვე ჩაინთქა უსასრულობაში, უსას-  
რულობისფერში, სადღაც იქვე იყო, იქუ-  
და ეძება. ქალალდა ისევ გაიტკაცუნა, ვე-  
დარ გაიფურჩენა, იფურჩენება ნელ-ნელა-  
ობით. მზის სხივი — გასვენებული და მილ-  
ულულა, უკვე ჩამქრალიყო, ჩამქრალიყო,  
როგორც იმედი, როგორიც ნდომის შესაძ-  
ლებლობა, რომელიც აროდეს ჩაინავლე-  
ბოდა, იქნებოდა სამუდამოდ, ან და მარა-  
დის...

ଭାବାବାର୍ଣ୍ଣଲୀ

1

ნისლო რძისფერია. რძეც ასეთივე ფე-  
რის იყო, ოლონდ ცხელი, ცხელი... თუმცა  
უფრო თბილი ჩათბურებდა სასასა, არბილ-  
ებდა. თავლგარეულს რომ მასმევდა, უც-  
ნაური გემო ჰქონდა, სხვა გემო დაჲყვებო-  
და, დიდი ჭიქით... ხო, ჭიქით რომ მიღდგამ-  
და დიდ რძეს... დიდს? არა, ბევრრძეს, არც-  
თუ ისე ბევრს. მოგირჩენსო, მართალიც  
იყო. მალევე ქრებოდა, ზამთრისას იცოდა  
მოხშირება, მერე, მერე კი ჩამილბობდა...  
ჩაიში საშინელება იყო, ცხელი უნდა ყოფი-  
ლიყო. გემრიელიაო, რალაცის გემი ჰქონ-  
და, უცნაური, საზიზლარი, გულისრევას  
იწვევდა. სუნი სასიამოვნო ჰქონდა, და ორ-  
თქლი, ცხელი ორთქლი. თითებს ვუშვერ-  
დი, თითები და დახორკლილი კანიუნესტი-  
ანდებოდა, თეთრი სისველე ეკიდებოდა კა-  
ნის სერილებში. მაგრამ სასიამოვნო იყო,  
თბილი და სასიამოვნო, მაგრამ საზიზლრო-  
ბა, საშინელი გემო კი ჰქონდა. ჩაი მუქი წი-  
თელი იყო, სიბნელე გარეული, ჩამკვდარი  
შინდისფერი; რძე კი, რძე — რძისფერი, ნი-  
სლიც ასეა, თეთრი, ჩაის ორთქლისმაგვა-  
რი, მაგრამ თითებს არ მისველებს, ისევ  
მშრალია. ხელები ძარვალზე შეინმინდა,  
მშრალი ხელები ისევ მშრალი ჰქონდა, არ  
ანესტიანებს. ჯანდაბა, აი, დამენყო, ჩაი,  
ჩაარბილებს ყელსო, ნეტაც კიდევ თუ დამა-  
ლევინებს. იქნებ დამალევინოს კიდეც, ხო,  
კარგი იქნებოდა, გაივლიდა... ერთი-ორ-  
ჯერ ხველებისაგან ჩაიფრულუნა, ნახველი  
ქუჩაზე გადააპუჭა და მოსაცმლის ჯიბეში  
ჩაჩურთული ძველი ცხვირსახოცი ამოაძ-  
რო და მოსველებული ტუჩის კიდეები მოი-  
მშრალა, ისევ ჯიბეში ჩაჭმუჭხა ცხვირსახ-  
ოცი, სადღაც ღრმად, მივიწყებულივით.  
შავი, თხელი სახლები ძლივძლივობით ილ-  
ანდებოდა. ნისლში მხოლოდ შენობის კონ-  
ტურები მოჩანდა, მიმქრალებული და სხე-  
ულგამოცლილი, ასეთებს მაშინაც ვხედავ-  
დი, ზუსტად იმათ მიჰევგანან. თვალებს ჭუ-  
ტავდა, ძლივს აფასურებდა ქუთუთოებს,  
აი, მალე, სულ ცოტაც, აი, ეხლა... შავი, კი-  
დებგამუქებული მართკუთხედები სიცა-  
რიელები ლივლივებდნენ. ხან ერთგან გა-  
მოჩნდებოდნენ, ხანაც მეორეგან გამოიჭყ-  
იტებოდნენ. სინითლე, ხო, სისხლისიფერი.  
იქნებ ის სახლიც კია? იქნებ. ნუთუ... არა,  
აქ არის, აქ არის, ალბათ თეთრი იყო, თოვ-  
ლისფერი, ახლა მონითალ-მოყვითალო. შა-  
ვი, სითეთრეებით დაბოლოებულ-დაწვეტ-  
ებული სქელი გარსიარტყამს გარს ამ სიშა-  
ვეებს, თავად თხელსა და მოლივლივეს...  
ასეთივე იყო, იგივე გარშემო, ოლონდ ეხლა  
თვალები გახელილი აქვს, ქუთუთოები ძლ-  
ივს ჩახუჭადა მალევე გაახილა. მცირეოდ-  
ენი ბრჭყვიალება და ყველაფერი ისევი  
იყო, როგორც თვალების დახუჭვამდე. ერ-  
თი-ორჯერ ისევე წამოაფშინა. მოთახ-  
თახე ტუჩებთან ხელი მიჰენდა და სახელ-  
ოს იფარებდა. დილის სიცივე თხელ გარს-  
ად ედებოდა მოთოხარიკებულ სახეს, მოს-  
ლიპულსა და ალაგ-ალაგ დამტევრილს. ხა-  
ლხი კანტი-კუნტად თუ მოჩანდა. რამდენი-  
მე გამყიდველი, თხელი, გალიავებულ წინ-  
საფარშემოკოსებული, წითელი ლაქები  
მოსცხებოდა და გრძელ, უანგისფერ კაუჭ-  
ზე სისხლმწვეთავი ხორცის მოზრდილ ნაქ-  
ერს აგებდა. დიდი, ალესილი, აქა-იქ ხერხ-  
ისპირიანი, წვეტებამოშვერილი დანები ნა-  
ჭერგადაფარებულ მაგიდაზე ჩაელაგები-  
ნა; სახელურებზე ხის ნანილები ამომტვრე-  
ულიყო. სხვაგან ბოსტნეულის გამყიდვე-  
ლები ამზადებდნენ თავიანთ საქონელს,  
ზოგიერთი მაღაზის დარაბები კვლავ ჩა-  
მოწეულ-ჩამოფარებული იყო... ადრეა. დი-  
ლაა, თუმც ჯერ კიდევ ადრე. ასე ადრე არ  
მარებდა, არც მოლებებოდა. უფრო გვაინ,  
ბევრად გვიან, ეხლა რა ჯანდაბა დამემარ-  
თა... არც მაძინებს. ხო, სიცივე. ჯანდაბა,  
ოდნავ შეათბობდა. დილა, დილა და თან  
ხმირი სიცივე, ღმერთოჩემო, რა სულელია  
ეს, იქნებ ეძინოს. რომელი საათია? რომე-  
ლი და... არც კი ვიცი, სადღაც აქუნდა ცხო-  
ვრობებს, ფოტორომ გამოგზავნა, ხომდა-  
ურთო მისამართი... საყვარელი ფოტო იყო.  
პატარა ს კამზე მოკალათებული, ლამაზი  
კაბა აცვია, ისეთივე თმები ჰქონდა, ისეთი-  
ვე... ლამაზი და მშვენიერი... აქვე უნდა  
იყოს წესით, სადღაც ახლოს. საათი? ჯერ  
გვარიანად ადრე ჩანს. გაირინდა. შეიძლე-  
ბა, ეწყინოს კიდევგაც. გაუხარდება კი? იქ-  
ნებ შეეშინდეს... ჩემი შეეშინდეს, საზიზლა-  
რი ხარ და სულელი, რატომ უნდა შეეშინ-  
დეს. გაუხარდება, ნამდვილად გაუხარდე-

ბა. ასე უნდა იყოს, ალბათ... უცილობლად უცილობლად... დიახ, დიახ, აქეთ. რომელი საათია? დიახ, საათი მაინტერესებს. თუ მცველობა მოვიცალე... ნითური წვერი აქვს, თვალებს ძლიერს ახელს, მუჭით ისრესს, ოჯ, დიახ დი პირი მოაღო და დაამთენარა. ახლავე სულ მცირე ხანს გაცადოთ... არც გიყურებს, საით არის. ჯიბეში ჩატურთა, წინსაფრის ქვეშ. დანის ლესვის ხმა მცირედით თუ ათროთოლებდა სიცივის თხელ გარსს... ხან რას აკეთებდა, ხან რას... სულ საქმიანობდა, მომხიბლავი იყო, გაოფლილ კისერზე თმის დერები ეკვროდა ხოლმე. ბალიშტან აქვს თავი ჩამონეული, ყურში რაღაცას ეჩურჩულება; რაღაცა ტკბილს, სასიამოვნოს, შემთბარი ხმით. კი, ნამდვილად. ეხლავე, ეხლავე ადგება... თვალდახუჭული, პირი ოდნავ ლია დარჩენა და ნითური ენა მოუჩანს, ცხელ ჰაერი ამოხდის. ისრესს ხელებს, ფეხებს უხახუნებს, ოდნავ უთბობს, სულ ოდნავ. სიცივეა, მინები დაორთქლილა, გადმოხრილა და იმავეს ჩასტურ-

რომ ვიყავი, მაშინ მშვენიერი იყო, თბილი და წენიანი სიცხე, მსუსე სითბო, ასეთი იყო. რძე. ცივი რძე. ის თბილი იყო, ადულებდა ხოლმე. მინის ორი სქელი, თეთრი ფერის, გამჭვირვალე ბოთლებში თეთრი, ნისლის-ფერი რძე ესხა. მჭიდროდ მოეგრაგნათ თავსახურები. იქვე კარებთან დაფენილი პატარა ნოხის გვერდით დაელაგებინათ. ორი ბოთლი, ცივი რძით სავსე. მოკუმული ბოტოტა თითებით კარზე დააკაცუნა, მსუბუქად, მორიდებით, თითქოს შერცხვა. ამდენი ხანი, ამდენი... და ასე მაღლე ვნახავ, ასე ახლოს, ნუთუ არ გაუხარდება. რატომ არ უნდა გაუხარდეს? აუცილებლად, აუცილებლად ასე იქნება. ცოტა ხანს ასე იდგა. არაფერი. მხოლოდ სიჩუმე, მხოლოდ წვეთების რაკარუე შენობის გარეთა ფასადზე. ისევ დააკაცუნა. მომუჯული თითებით უფრო ძლიერად მიაბრახუნა კარებზე. ისევ იგივე. ისევ არაფერი... სულელი, სულელი ხარ, არარაობა ხარ, გამოჩერჩეტებული. არ არის სახლში, წასულია, არ არ... სულ ჩემი ბრალია, არ არის. წავიდა. როგორც მაშინ, მაგრამ ეხლა არ გამაფრთხილა. ეხლა სადღა ვიპოვო, სულ ჩემი ბრალია. თან როგორ ასხას, სულ დალპება... გაბრაზებულმა კარს ძლიერად უჯიკა, მიაწვა. წახე, აქვეა, არ წასულა. კარი იდნავ შეიღო, მცირედით გამოაჩინა შიგნეულობა. სიჩუმე იყო, არანიარი ხმა, ფაჩუნიც კი არ მოისმოდა. მორიდებით, მაგრამ მაინც სიხარულით შეაღო კარი, მთლიანად როგორც კი აღმოჩნდა ოთახში, კარები ფაქიზად, წაზად მიიხურა. სრული სიჩუმე, სრულებით არაფერი, არ არის, არ არის სახლში, მაგრამ, მე ეს აქ. ხომ შეიძლება მოვიდეს? მოვა, აბა, სად წავა, დაველოდები... არანაირი ხმა, გაფარუნებაც კო...

ვახილი. ვახილის სუხი ეცა. მიტკბო, ჩა-  
გრამ ამავდროულად მწკლარტე სიტყბოე-  
ბის მქონე. ოჰ, როგორი სასიამოვნოა, რო-  
გორი თბილი და ტყბილია აქაურობა. რო-  
გორც მას შეეფერება ზუსტად ისეთი. ნეტავ  
როდის დაბრუნდება, უნდა... ასე როგორ არ  
უნდა გაუხარდეს. მძიმედ მიაბიჯებდა, თან  
წვიმის წვეთები წურნურით ჩამოსდიოდა.  
მთელ იატაკს ასცელებდა. არ შეუმჩნევია.  
სიამოვნებდა მთლად გალუმბულს, სითბოს  
სურნელი, ტყბილი სითბოება. მისაღებშიც  
არავინ დახვდა. მხოლოდ მიტოვებული  
ავეჯი იმზირებოდა მოწყენილად. თვალებს  
აცეცებენ, თავიანთ კუშტი, ცივ მზერას  
ავლებენ ყოველივეს. მეც, მეც მიყურებენ,  
იქნებ არც მოვნონვარ, იქნებ სულაც  
პირიქით. არ ვიცი, ან გასაიდან მეცოდინება.  
უყვარდა, მაშინ რომ უყურებდა.  
კედლიდანაც მხოლოდ ერთი მოჩუქუ-  
რთმებულ, მოოქროსფერებულ ჩარჩოში  
ჩასტული სურათი მოჩანდა. სულ ეს იყო.  
როგორც ახსოვდა, ზუსტად ისე იყო. სახლი  
ცარიელი იყო, როგორც თავად შეატყო. შე-  
ლიობებულ კარს მოპერა თვალი. მინის სქ-  
ელ ტიხარში, შიგ შეუგულში რომ ჩაესვათ,  
ამდღრეულად არეკლილი გამოსახულება  
იბლანდებოდა. მიიზლაზნებოდა, აცაბაცად  
მოჩანდა, სხეულის ზოგი ნაწილი მოზ-  
რდილი ჰქონდა, ზოგი უფრო მომცრო, ერ-  
თი ფეხი გრძელი, მაგრამ დაბუშტულ-გა-  
სივებული. ასეთი იყო. მშვენიერი წიგნი,  
მაგრამ ახლა... ახლა კი აღაარ მასხოვს, აღ-  
არ წამიკითხავს ბოლომდე, სურათების და-  
თვალიერება უფრო მეტად მხილავდა... შავ-  
თეთრი იყო, მოღუშული და მოწყენილი.  
მაინც მოსწონდა, მაინც... ნელაშეაღო კარი,  
ფაქიზად მოაღიობა და საძინებელში  
შევიდა. ყურადღება არაფრისთვის მიუქ-  
ცევია, არაფრი მოუთვალიერებია, პირდა-  
პირ საწილზე გაუშებდა მზერა. ის არის,  
ნამდვილად ის არის. სძინავს. კი, მაგრამ  
როგორ გერ გაიგო? არა, ნამდვილად არ გა-  
უგონია არაფრი. სრულებით არაფრი. არ  
უნდოდა, გაედვიძებინა. წვიმის წვეთები ისევ  
წკარან, კურით ესლებოდა იატაკს და



## ლუკა ბასილაძე

# କୁଳାଳୀ, ଗାସିଏରା

ჩულებს, თბილა, შემთხარი ხმით. ეუბნება  
რაღაცას, ოჳ, როგორი სასიამოვნოა, თბი-  
ლი და სასიამოვნო. ნელა მიდის წინ, ცდი-  
ლობს, რამეს ფეხი არ წამოსდოს, არ აყი-  
რავდეს სადმე, არ დაეცეს... ადგება, მალე-  
ვე ადგება. ღუმელთან მიმდგარი სკამის სა-  
ზურებეზე გადაკიდულ ტანისამოსს იცვამს,  
თითქოს ცეცხლის სითბო გადმოყვა. სიამ-  
ოვნებს ცივ, მოყინულ კანზე ეს თბილი შეხ-  
ება. სითბო ეღვრება, თან უყურებს, რო-  
გორ უცემს, დახორკლილკანიანი, აბუსუ-  
სებული აქა-იქ. ფრთხილად მიაპიჯებს...  
თმის ნანილი ყურს უკან ჩამოშლია; პატა-  
რა, მოლამაზებული ყურები აქვთ. სასიამო-  
ვნოა ცხელი ჰაერი, თბილი რძე მოუმზადე-  
ბია დიდი ჭიქით, აბუშტუკებული სითხე  
დიდ ჭიქაში ჩამოუსხამს. მომნარო რძის  
სუნი აქვს ოდნავ ჰაერს. ხო, რძესავით ნის-  
ლი... ჰაერში აქა-იქ მოისმის დანის ლესვის  
გამკინავი ჭახჭახი...

რამეც კი ჩემს ცხოვრებაში. არ შემეტლო  
მაინც ილიმოდა... ისევ წვიმდა, მეტად მო-  
უხშირა... ხალხი ისევ აქეთ-იქით მიმორბო-  
და, დანების ლესვის ჭახებაში ისმოდა. ხალ-  
ხი ჩუმად, მალულად საუბრობდა. და წვიმი  
რაკარუე შენობის ფასადზე.

არა! შეუძლებელია. მაგრამ შესაძლებე-  
ლი იყო, ახლა კი ფაქტია — გული, გულ-  
უნდა უცემდესო. არ უცემდა, არც ცხელ-  
ჰაერი გამოსდიოდა. არ განძრეულა, როდე-  
საც ვეფერებოდი, არ ირხეოდა. მიდიოდა  
შემთვრალი ადამიანივით აცაბაცა ნაბიჯე-  
ბით მიიკვლევდა გზას. საით კენ? არ ვიცი  
მართლა არ იცოდა. მხოლოდ მიდიოდა  
წინ მიდიოდა, სადღაცისკენ. არა, თუმც-  
როვორ არა, ხომ ვნახე. ვნახე, ნაოფლაკ-  
კისერი ჰქონდა — ყელზეც, ყელზეც თმები  
მიჰკვროდა. წვიმის ინტენსივობა მეტად  
ძლიერდებოდა. უფრო გაშმაგბით ებრახ-  
უნებოდა თითოეული წვეთი გაქაფულ ქვა-  
აფენილებს. გახელებული წვიმა. წყლისფე-  
რი წვეთები იყო, თუ თავადაც იყო წყალი  
ოღონდ მომრგვალებული, პატარა ბურთუ-  
ლები. ქალაქს გამორდა, სადღაც ტყისინ ად-  
გილას გავიდა, უკან ჩამოიტოვა ძველი შე-  
ნობები, ბოსტნეულის თავსაფრიანი გამყი-  
დველი, სინანულით რომ გაჰყურებდა გა-  
ქაფულ ქალაქს და საყასბო, სისხლით ზო-  
თხვრილი კაუჭებიდან ახალი სისხლი რომ  
წვეთავდა, წვიმის მსგავსად. გზის შემომ-  
ფარგვლელ ხე-ტყეს, აქეთ-იქით რომ შემო-  
რტყმოდა ფართოდ გაბილიკებულ სავალ-  
გზას, გვერდით მდინარე ჩამოუდიოდა  
წვიმისაგან მთლად გაშმაგბული, გახელე-  
ბული და ნარჩენ ცხენივით გაქაფული. მთ-  
ელი სიმძლავრით ეხეთებოდა ათვირუ-  
ლი წყალი ატალახებულ ნაპირს და ამ ტა-  
ლახში ჩაზელილ ფოთლებს გაიყოლებდა  
მსხვილფოთლოვან ხეებს, თითქოს დატუქ-  
სულ ბავშვებს ჰგვანანო, ყურები ჩამოუყრ-  
ია და მდინარეს დანანებით გასცეკრის. ხო-  
მდინარე... მდინარე. მაშინ მშვიდი იყო, მშ-  
ვიდი და წყნარი... ხელა მოედინებოდა... ოპ-  
რა კარგი იყო, როგორი სასიამოვნო. ნაპი-  
რზე ჯდებოდა ამწვანებულ, აბალახებულ  
ნაპირზე. ფეხებს ყოფდა მდინარეში, ფეხ-  
საცმელსა და მასში ჩაჩრდოულ თეთრ წი-  
ნი ნდებს ჩემთან ტოვებდა, იქვე ხესთან, ჩრ-  
დილში მიდებდა ხოლმე... უყურებდა, დი-  
დხანს უმზერდა. კისერსაც იგრილებდა  
სველ ხელს მოისვამდა ხოლმე. ოპ, რომ ამ-  
ოვიდოდა და ჩემთან მოვიდოდა, ფეხებზე  
წყალი უბრნყინავდა, ფეხები უკაშკაშებდა  
ხოლმე... წინდები შემორჩენილი წყლით  
ლაქავდებოდა, სველდებოდა. მალევე აშ-  
ობდა მზე, მალევე... გაბილიკებული ფარ-  
თო გზიდან ხე-ტყისკენ გადაუხვია — სასი-  
ამოვნო იყო, ძალიან სასიამოვნო... ატალა-  
ხებულ მინაში ეფლობოდა ფეხები, ძლივდ-  
ლივიბით მიიზღაუნდებოდა, ფეხსაცმელზე  
დამბალი ტალახი ეზეპებოდა. წვიმდა, გაშ-  
მაგებით წვიმდა... გაბრაზებული იყო, ეხლ-  
ალარ არის, მაგრამ მაინც ილიმოდა. თვალ-  
ები არა, ტუჩებით ილიმოდა  
დახორცილებანიანი, რბილი... მიდიოდა და  
მომაკვდავ ფოთლებს დაგუბებულ ტალა-  
ხში ახრჩიბდა. მდინარე ატალახებულ ნა-  
პირს სცემდა, გახელებით, გაბრაზებულივი-  
თ. ფრთხილად ჩამოჯდა ხის ახლოს, მთე-  
ლი შარვალი გამოულპა და კანზე სველ  
წყლის სასიამოვნო ლიცინი იგრძნო. აე-  
იჯდა ცოტა ხანს, უყურებდა მდინარეს და  
ხელები ტალახებში ეყრდნობოდა. ფეხზე  
გაიხადა, უწინდებო ფეხსაცმელი იქვე ტა-  
ლახში მიდო და შიშველი ფეხები მდინარე-  
ში სიფრთხილით ჩაყო, მის ფეხებს ეხლე-  
ბოდა ცივი, აქაფებული ტალები. თბილი  
იყო რძე, თაფლით სასიამოვნო გემო ჰქონ-  
და... ილიმოდა, ილიმოდა და თმები ყელზე  
მიჰკვროდა, დანამულ ყელზე. იჯდა და  
გაშტერებული იყურებოდა, ხელები ტალ-  
ახს ებჯინებოდა, სველსა და გასაპინულს  
ცოტა ხანს იყო ასე, სანაზ ხელებს აუშვებდ-  
და ტალახს და წინ ნაინევდა... ძლიერი იყო  
დინება და გაქაფული იყო წყალი, წინ ნაი-  
ნია, აღარ ფრთხილიბდა... ილიმოდა, ინ-  
დამბალი, გამომშრალი ტუჩებით ილიმო-  
და... დრო გადიოდა, ტალახში შემორჩენილ  
ფეხსაცმელს კი ისევ აწვიმდა. მალევე  
დალპა და წყლით ამოიგსო, მდინარე ისევ  
გაშმაგებით მიბოგინობდა. თბილი იყო რძე  
ილიმოდა... იმ... იმ... გაოფლილ კისერზე  
მიჰკვე... ტკივილი ჰქონდა.... ტკივილი თვა-  
ლებში... წითელ-მოყვითალო იყო ის  
ნაჭერი. თეთრი, მაგრამ განითლდა. წითე-  
ლი და ყვითელი. ბალაშის ქვეშ ედო, ბალი  
შის ქვეშ... ნისლი, ნისლი კი რძისვერი იყო  
იმ რძისფერი, ლონდ ცივი...

დავით ქართველიშვილი

# ବ୍ୟାକିଲା ବାକିରି

ბიოგრაფიის მონაკვეთი  
ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან



დასასრული

„რატომ?“ — გაუკვირდა ვენეციელ ვაჭარს — „მე რომ შენი ასაკის ვიყავი, ძალიან მომწოდა...“

„მე არ მომწონს, ვინც გათვლას იწყებს, ის ამბობს, რამდენი; იტყვის ორს ან ოთხს ან ექვსა ან რვას ან ათს და მოიგებს...“

არაცადა და ამიტომ მისი წესები ბოლომდე  
ვერ გაიგო, მის არსს სწორებ მიხვდა.  
საღად ითვლის ეს ბიჭი — ფიქრობდა  
ვენეციელი გაჭარი. კარგი მონაცემი აქვს.  
თუ დავიტოვებ და სწორად გამოვზრდი,  
კარგი დამხმარე გამოვგა, ბოლოს იქნებ სა-  
ქმეც გადავაბარო და მშვიდად მოვემზადო  
სიკედილისოფლის, მაგრამ წინამძლოლ რო-  
გორ დაფუძრე, რა ვუთხრა?

ვენეციელ ვაჭარს არ ჰქონდა ამ შეკვეთაზე პასუხი. მერე, მონოტონური, ერთ-კვირიანი მგზავრობისას ამაზე უკვე აღარ ფიქრობდა და თან თვალწინ აღარც წინამდლობრივ სახე ედგა, საფიქრელი სხვა რამ ჰქონდა: შექლებდა თუ არა ბიჭის წინამდლობრზე უკვეთესად და სწორად აღზრდას.

სასტუმროდან გამოსულებს გარეთ თბილი საღამო დახვდათ. რაც უფრო მეტად უახლოვდებოდნენ ნავსადგურს, მით უფრო მეტად საგრძნობი ხდებოდა ზღვიდან

მონაბერით თბილი ქარი და ჰავის სინოტივე.  
19  
გემი ნავსადგურში შევიდა. ვენეციელი  
ვაჭარი უკვე ხმელეთზე იდგა და მზად იყო  
გემზე ასასველად.  
ხმელეთზე იდგნენ სხვა მგზავრებიც.  
ვენეციელი ვაჭარი გემის არცერთ მგზ-

ავრს არ იცნობდა. რა თქმა უნდა, წინ ერთ-კვირიანი, მონოტონური მგზავრობა ელო-და და ის შეძლებდა გამოლაპარაკებას რო-მელიმე უწყინარი ქცევისა და მშვიდი გამო-მეტყველების მქონე მგზავრთან, მაგრამ სავარაუდოდ არც საკუთარ თავს შეინუხე-ბდა და არც — ვინმე სხვას.

მტყირთავებს მგზავრების ბარგი აპექ-ნდათ გემზე, სწრაფად და თითქმის უსიტყ-ვოდ მუშაობდნენ, მხოლოდ უშვიათესად თუ გამოელაპარაკებოდნენ ერთმანეთს სა-ქმიანად და საქმის ამო.

„მაგრამ მკითხავმა ხომ გვითხრა...“  
„რომელმა მკითხავმა, სამორინეში რომ  
ზის და ზუსტად ისეთივე მოთამაშეა, როგ-  
ორებიც ყველა სხვა იქ მყოფი, მისი არც-  
ერთი სიყვავა სანდო არ არის. იცი, რატომ  
არსებობს მკითხავები?“

„რატომ?“  
ვენეციელ ვაჭარი სმენად იქცა, თუმცა  
ამ შემთხვევაში პირადად მას არავინ არა-

ეკერს ეკითხებოდა და უცხო ადამიანების საუბრის ყურისგდებაც არ იყო დიდად კეთილშობილური საქციელი, მაგრამ ადამიანი ხომ დაუოკებლად ცნობისმოყვარელერნამია, რომელიც იქთ იხრება საითკენაც ცნობისმოყვარეობის სიო დაუბერავს — გაახსენდა სადღაც გაგონილი ადამიანის დახასიათება ვენეციელ ვაჭარს.

ხოლო ასაკოვანმა კაცმა — რომელიც საკუთარივე აღიარებით არ იყო აბრაამი — თქვა:

„ადამიანებს აწვალებს მომავლის უცოდინარობა, ნინასწარმეტყველები არაფერ კარგს არ გვპირდებიან და სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი მეითხავების გამოგონება. მეითხავები მომავლის გამფერადებლები არიან...“

„არ ვიცი, შეიძლება.“  
და უცებ ვენეციელმა ვაჭარმა გაიგონა,  
რომ ასაკოვანი წყვილის მამაკაცურმა  
ნაწილმა მას ადგილობრივ ენაზე მიმართა:  
„აქაური არ ჩანსართ.“

ვენეციელმა ვაჭარმა თავი მიატრიალა.  
არაფერი უთქვამს.  
ახლა ქალმა — რომელიც არ იყო სარა  
— მიმართა, ოღონდ თავის მშობლიურ ენ-  
აზე:  
„ვაჭარს ჰეგავხარ და მოგზაურს, გვინდ-

ოდა, გაგვეგო, აი, ამ პატარა ბიჭს ხომ არ ჰყილდით?"  
ვენეციელ ვაჭარს ვითომ ეს ენაც არ ეს-

ମୂର୍ଦ୍ଧା, ମାଘରାମ ମିସି ଗୁଣ୍ଠା ଦରାଶିଲେ ମୁଖ୍ୟମିତ୍ର ଗର୍ଭନିବିଦୀ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପାଇଁ ଆଜିର ପରିବହନ କରିବାକୁ ପରିଚାଳନା କରିଛନ୍ତି।

ଗମରାର୍ଗେବାହି ଡାବାଦର୍ଜୁନା ଏବଂ ଗ୍ରେମ୍ସ ଶ୍ରେଷ୍ଠା  
କ୍ଷେତ୍ରରେ ପରିବର୍ତ୍ତନ ଆବଶ୍ୟକତା ଏହାରେ ଉପରେ ଥିଲା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ვის ვადას მცირედზე გადაწევდა.  
ვენციელმა ვაჭარმა ბიჭს გახედა. ბიჭ-  
მა მისი მზერა იგრძნოდა ვითომშორს გაი-  
ხედა. ვენციელ ვაჭარს გაახსენდა, როგო-  
რი უცაბედი გამოდგა ბიჭი თვლაში და კი-  
დევ ერთხელ გააფიქრა, საკუთრებში ხომ

არ დაეტოვებინა ის. ვენეცუელა ვაჭარს ბიჭ-ისთვის უნდოდა ეკითხა, რა ერქვა, მაგრამ რადგან წუთის წინ თავი ისე დაიჭირა უკან მდგომ წყვილთან, თითქოს ადგილობრივი ენა არ იცოდა, ჩუმად იყო. რაც უნდა ერქვას, მაინც ახალი სახელი დაჭირდება ვენეციაში და თუ ჩემთან დარჩება, მაშინ რაფაელს დაუუძახებ. თვალწინ წინამძღოლის სახე არც ამჯე-

რად დასძგომია და არც ის გახსენებია,  
რომ ჯიბეში მომავლის ქალაქის მომცრო  
რუკა ედო.





\*\*\*

ღამეს ასდის ლიმონის და დაფნის სუნი  
და სიჩიუმეს აპობს ლექსი ორლესული.

გათენდება ახალი წლის თეთრი დილა,  
გაიხედე — ზეცა როგორ მონმენდილა.

ახალ გზებით და ახალი სიმღერებით  
ჩვენ ყოველთვის ვხარობდით, ყელს ვიღერებდით.

დაგვებუდოს ხალისი და იმედები  
და ახალი ოცნებები დაგვებედოს.  
დასაკარგად ვერასოდეს ვიმეტებდით  
ძველ ხალისაც, ძველი ცეცხლი გულში გვენთოს.

დილა ტკბილი, გოზინაყით დაწყებული  
გვეგბება და სიხარულს მოსაწავებს.  
ახალი წლის აღსანიშნად იწევს გული  
და ძველ დღეებს, როგორც სანთლებს, ახლა წვავენ.

\*\*\*

იქ, სადაც ზეცა ზღვას უერთდება,  
ვარ სამუდამოდ გამომწყვდებული  
და „განწირულმა სულისკვეთებამ“  
ცეცხლით დაწერა ჩემი რვეული.

ათასმა წევიმამ გადაიარა  
სულის მინდორზე მზეთა ჩაქრობით.  
ვინც სიკედლამდე ვერ ეზარა,  
ვერ ნახა ნიბლი გრემქალაქობის.

ვინ იცის, როდის, ვინ იცის, როდის  
ჩამოეშვება სიკედლის ფარდა  
და არ დარჩება დრო საღამოდის,  
არც რა დარჩება, ლექსების გარდა.

და ჭექს ღრუბელი გაბრაზებული  
და მებს იზიდაგს მუხა მაღალი.  
ხაეს ექიდება წყალნაღებული  
და არაფერი ხდება ახალი.

იქ, სადაც ზეცა ზღვას უერთდება,  
ამინენია მე სამყოფელი.  
ცეცხლი გააპეს წვიმის წვეტება  
და ღმერთის უგალობს ჭკვათამყოფელი.

\*\*\*

ქალბატონმა ხეებმა ზაფხულის ბალ-მასკარადის შემდეგ  
გაიხადეს საშემოდგომო წითელ-ყვითელი კაბები,  
წვიმებით პირი დაიბანეს  
და მოემზადენ ზამთრის სიზრებისთვის.  
მათ სიზრებით გამოვლილი გაზაფხულები —  
უამი მშფოთვარე ყვავილობის და სიყვარულისა.  
მათ ესიზმრებათ გამოვლილი გაზაფხულები  
და ნაყოფით წელდამიმება.  
მათ ესიზმრებათ გამოვლილი შემოდგომები,  
როგორც რთველი და მოსავლის აღების უამი.  
ქალბატონმა ხეები ქარით ფშვინავებ ძილში  
და დედმინინ, ირწევა ხოლმე,  
როგორ მათ სძინავთ თოვლის აკვანში.  
ისევ მოვა გაზაფხული,  
მაგრამ განა ყველა ხე აშრიალდება სიყვარულით  
და დამძიმდება ნაყოფით!

როგორც მოხუცი ქალბატონები —  
ხმელი ხეები სამუდამოდ რჩებინ ზამთრის ძილში.

\*\*\*

არ ბერდებიან მხოლოდ თვალები  
მრავლის მხილველი და ნაწვალები  
და არ ბერდება ასევე გული  
სამარადისოდ შეყვარებული.

ვარ სამოთხიდან გაძევებული,  
ყველაზე ბოლოს იმედი კვდება,  
რომ შემიხიზნას ვარსკვლავთ კრებული,  
გზა სამოთხისენ არ შემეევრება.

ჩამქრალ მზების გზად მხვდება ჯარი,  
გამიჯვებულა მოკელ გზაზე ყინვა.  
ღმერთო, დამწერე ამ გზაზე ჯვარი,  
შევებად მიეცი იხვრა და გმინვა!

არ ბერდებიან მხოლოდ თვალები,  
სახეები კი მანც იცვლება.  
დრო ჯერ შორსაა გარდაცვალების,  
სისხლისგან გული ჯერ არ იცლება.

\*\*\*

ო, როგორ მინდა ზღვისპირა სახლი  
ამ უდაბნოში უწყლობით დაღლილს.  
და ჰქონდეს იმ სახლს პატარა ბაღი  
და დარაჯობდეს ერთგული ძალი.

ზოგის სიცოცხლე ჩალის ფასია,  
ზოგის — ძვირფასი და ძვირზე ძვირი.  
ო, ეს ცხოვრება ხშირად თარსა,  
ბედის ბედაურს ვერ შეცვლის ვირი.

ო, როგორ მინდა ზღვისპირა სახლი,  
სადაც მედუზებს ზღვა ნაპირს აყრის  
და მზე ყოველთვის გრიალებს მაღლით  
და ვერ აჯობებს ათასი ჭალი.

ტალღები, როგორც თეთრი ძალლები,  
რომ მილოკავდნენ ფეხებს ალერსით,  
დაუნგრეველი ღრუბლის თაღები  
უძლებდნენ ფარულ ზრახვებს არესის.

ო, როგორ მინდა ზღვისპირა სახლი,  
სანამ ვიქნები, დე, ზღვისა ვიყო.  
თვალი ვახარო სულ ზღვის დანახვით,  
ცხრა მთას გადაღმა არ გავირიყო.

\*\*\*

ოვიდიუსი, დანტე და ბროდსკი  
შორს სამშობლოდან უძლებენ დროს? კი!

ვინც სახლში დარჩა, მკვდარიც კი ტირის,  
ვერ მოიშორა თავიდან ჭირი.

გაღმა-გამოღმა სიცოცხლე ფეხებას,  
თითქოსდა წყევლა არც არვის ეთქვას.

არაფერს ნიშნავს ლექსისთვის ზღვარი,  
წვიმს სიხარულის ცრემლების ზღვარი.

ოვიდიუსი, დანტე და ბროდსკი  
ერთმანეთისგან არინ შორს? კი!

მაგრამ ხვედრია მათი საერთო  
და მათი ხვედრით ბედი გაერთო.

ო, რამდენია ცაზე ვარსკვლავი  
და რამდენს უძლებს დრო გულსაკლავი!

### უცხოპი

მე ვარ უცნობი ცნობილთა შორის  
და სვლა ფარული დამბედებია.  
ჩემი გზა არის სხვა გზებზე შორი,  
წუთები — მნარე კანფეტებია.

მე ვარ უცნობი და ჩემსას ვცდილობ,  
თავაზიანად გზას ვუთმობ ყველას,  
ადგალს რომ არვინ არ შემეცილოს  
და არ მინიოს მოშურნის წყევლამ.

მე ვარ უცნობი, ტრიალებს სცენა  
და ფაციფუცში არ ვჩანვარ, არა  
და მენატრება ცაში აფრენა,  
რადგან მინაზე ფართხალი ქმარა.

მე ვარ უცნობი და როცა წავალ  
კი არ ვიქნებ, გავიპარები  
და მხოლოდ შემდეგ ვატირებ მრავალს,  
შემდეგ დარეკაეს ჩემთვის ზარები.

მე ვარ უცნობი — ღმერთი ხომ მიცნობს!  
და უფლის გარდა არ მყავს პატრონი  
და უფლის გარდა ვინ დავიფიცო?  
ვართ უცნობები მუდამ მარტონი.

\*\*\*

უთქამთ, ცხვარი ცხვარიაო,  
თუ გაცხარდა, ცხარეაო.  
შენც ცხვარივით არ იარო,  
სადაც მეგლთა მხარეაო.

როცა ცხვარი ცხარეაო,  
იბრძვის, გაგისარიაო.  
მზე იმისი მცხრალიაო,  
მთვარე მოხარხარეაო.

რადგან ცხვარი ცხვარიაო,  
თუ გაცხარდა, ცხარეაო.  
მტერს მისი ლახვარიაო!  
დარტყმა მისი მწარეაო.

\*\*\*

ფარაში მეგლი შევარდა,  
ვაი ერთის პატრონსაო.  
ცუდ დროსაც გაუგა ვადა,  
დაველოდოთ კარგ დროსაო.

ერთი ხიდან გამოგვივა  
ბარიცა და თოხიცაო.  
კალაპოტი გააცივა —  
ზვავმა მიღრიც-მოღრიცაო.

ქვევრს ჩასძახებ როგორც, იმას  
ამოგახებს უმალვეო.  
გიშ ჭკვიანზე გაელიმა,  
ცოდნა ვის დაუმალეო.

ფარაში მეგლი შევარდა,  
ფარის დარაჯს არა სძინავს.  
მოკლა მეგლი, გაუხარდა —  
პატრონი ჰყავს წმინდა ბინას.

\*\*\*

ვინც რა უნდა თქვასო,  
ნისქვილმა კი ფქვასო.  
ნარკვეთილი სასო  
სდევს ნისქვილის ქვასო.

ვინც რა უნდა თქვასო,  
გინდაც, დავითარსოთ,  
არ გაგიღებთ კარსო,  
ქარო, შერჩი ცასო.

ვინც რა უნდა თქვასო,  
ძალი გვირბენს გარსო,  
ველოდებით დარსო,  
მზიურ მთა და ბარსო.

ვინც რა უნდა თქვასო,  
ერია თუ ბერი,  
ნისქვილმა ფქვასო  
და დამარცხდეს მტერი.

ეს დრო კი არა, სიცოცხლე მიდის  
ადიდებული, აზავებული  
და არსადა ჩანს მხსნელი და ხიდი  
და შველელს უხმოს წყალნაღებული.

ვინ იცის, ვის რა დაგვებედება,  
საით გაგვირიყავს მდინარის ტოტი!  
რა მოგახარეს, ვინ უწყს მტრედებმა  
და რას გვაუწყებს ბინდისას ჭოტი!

ყველას თავი აქვს გადასარჩენი  
და დამარცხება მოძმისთვის უჭირს.  
და აქვს იმედი მხოლოდ მარჯვენის  
თვისის, სხვა ყველა ცდა არის ფუჭი.

სიცოცხლე მიდის, სიცოცხლე მოდის,  
ვინ კვდება და ვინ კი იბადება.  
ზოგი გლეხა და ზოგი — ლორდი,  
ვინ რასა იქმს და რა კი ბრალდება.

ეს დრო კი არა, მდინარე მძლავრობს  
და არემარე წაულევია.  
სად დავისცენოთ, სად შევეფაროთ?  
მთა მთას მიჰყება ღვია-დეკიანს.

ჩიტაცაც ბუდე აქვს და მეგლას — ბუნაგი,  
კაცაცაც სჭირდება თავშესაფარი.  
მოვა სიკედლი — ხარბი, მსუნაგი  
და დამთავრდება ჩემინი ზღაპარი.

იცნის ერთ სასიამოვნო საღამოს ფრანკფურტის საერთაშორისო აეროპორტში სტუმართა მომლოდინებს შორის შუახანს გადაცილებული თბაშევერცხლილი კაცი იდგა და გამომსვლელთა ნაკადს აკვირდებოდა. ქუთაისის რეისი დაახლოებით ერთი საათის წინ დაჯდა. ამას საბაქოს გავლისა და ბარგის ალების დრო დაუმატა და, მისი განაგარიშებით, საცაა უნდა გამოჩენილიყო მისი სტუმარი. ერთად მოაწყდნენ ქართველები გამოსასვლელს. უმეტესობას მხრებზე ქართული დროშები ჰქონდა მოხვეული. კაცს გაელიმა — ესენი დორტმუნდში მიდინან საქართველოს თამაზზე, გაიფიქრა და ახალგაზრდების სის შეშურდა, რომ გადაწყვიტა, ხვალ მეც გავყვები ქართველებს ჩვენი ბიჭების საქომასვლელში შუახანს მიტანებული, კარგად ორგანიზებულ ჯებულად ჩაიარეს. გამოსასვლელში შევისა და მეც გავყვები ქართველებს ჩვენი ბიჭების საქომასვლელში მიტანებული, სასიამოვნო გარეგნობის ქალი გამოჩნდა. ჩემოდან მოაგორებდა, მხრებზე არც ისე პატარა ზურგჩანთა ჰქონდა მოგდებული. „ნელი შეტყობია“-ო, გაიფიქრა კაცმა და სახეზე ნამოახურა — შერცხვაო, თითქოს, ფიქრის.

— გამარჯობა, — მიესალმა ქალი.  
— გამარჯობა, ირ, როგორ იმგზავრე?  
როგორ ხა? — კაცი დაბნეული იდგა ქალის წინ. მერე, გეგონებოდათ, ძილიდან გამოეკვაო, ორივე ხელი მოხვია, მკერდზე მიიკრა და ლოყაზე აკოცა.

— კარგად, გმადლობ. ნამეტანი გაგრძელდა გზა. ოთხ საათზე მეტი ჩაჭუჭული ვიჯექი თვითმფრინავში. მგონი, სკამის ფორმა მივიღე.

— მშენივრად გამოიყურები. წავიდეთ, — კაცმა ზურგჩანთა მოხსნა, მარჯვენა ბეჭედზე მოიგდო, მარცხენა ხელით ჩემოდანი გააგორა.

— ქალაქისკენ მიმავალი აეტობუსს გაჩერებასთან მიიღინ. იქ ქართველების დიდი ჯგუფი იდგა. პირველი ავტობუსი ქართველებით სავსე წავიდა. მეორეც. მესამეში ავტონენ და წინა ადგილებზე მოთავსდნენ. ავტობუსში ხვალინდელ საფეხულოთი ჯახზე ლაპარაკობდნენ გულშემატკივრები.

— გახსოვს, დინამოზე რომ წაგიყვანე გოგონები? — ლიმილით მოხედა ქალმა.

— კი. ერთ-ერთი პირველთაგანი ვიყავი, გოგონები რომ წავიყვანე სტადიონზე.

— მსაჯმა პენალტი არ დაიმიშნა და გინების ნიაღვარი რომ წამოვიდა, ყურები თითებით დამიცე. ესეც გახსოვს? ხო, მართლა, სულ გამოვშტერდი, არც კი გაითხე, როგორ ხარ-მეთქი. როგორ ხა?

— ვარ.

— არ იცვლები, — ქალმა ისევ გაულიმა, — წინა ათასნლეულმი, საავადმყოფოში რომ მოგაკითხე ირ დაქალთან ერთად და გყითხეთ, როგორ ხარო, მაშინაც ასე გვიპასუხე, „ვარ“-ო. როგორო? ჰორიზონტად არცვები, — გაიმეორა და ავტობუსი ქერს გაულიმა. კაცს არაფერი უთქამის. გზას გაჰყურებდა.

— დავიღალე... — თავისთვის ჩალაპარაკა ქალმა, თვალები დახუჭა და საზურგეს მიყყრდნო, — ღმერთო, როგორ დავიღალე...

— კაცს არაფერი უთქამის. ქალმა თავი კაცის მხარზე დადო და ბურანში წავიდა. სახეზე „დავიღალე“ ლიმილი აქსო, გაიფიქრება კაცმა. გუნებაში ფერადი და შავ-თეთორი სურათების ალბომი გადაფურცლა...

მთაწმინდაზე მოაჯირს გადაეიდებული გოგონა და ბიჭი საღამოს თბილისას, უამრავი ნათუროთ განათებულს, ათვალიერებენ.

— რუსთაველი, მეტები... წახე, დინამო რამხელაა...

ოპერას ვერ ვხედავ.

აი, ეგერ!

ხო, რა ლამაზიაა!.. წახე, ლოტკინი და მის ზევით წახალოვეა.

ეგ პირიქითაა...

ექსკურსია ქალაქგარეთ — ხორხოცით და სტუდენტური, სერიოზული სადღეგრძელებით...

მეტების ეზო, გრძელი სკამი, სკამის საზურგებზე შემომჯდარი პირველეულს გოგონა და მის ფეხებთან მიმჯდარი, ენა გადაყლაპული ბიჭი...

სპორტის სასახლეში კონცერტზე ძლივს ნაშორი ბილეთი... ბიძინა მასარაძის სკეტჩი ენაბლუებზე. ირ, წახე, მე დამცინის ეს ოჯახერო! არ დაგცინის, გეხსმრება... კონცერტის შემდეგ უნივერსიტეტელ მეგობრებს ხვდებიან.

— ვა... თქვენ... ერთად?

— გიკვირთ?

— არა. ბრწყინვალე წყვილი ხართ. რუსთაველის გამზირისკენ მიმავლები ზოოპარკის შესასვლელთან ჩერდებიან.

— გითხა თუ უთქმელადაც გრძნობ?

გოგონა ჩუმადა. გვერდით იხედება. ბიჭი მხრებზე კიდებს ხელს, თავს მოაბრუნებინებს, მის ხელს გულზე იდებს.

— გრძნობ?

გოგონა თავს უქნევს.

„მაშინ რომ გულში ჩაგეკარი, მომხვეოდი და გეკოცა, არასა ასოდეს მოგცილებობის შემთხვევაში ჰქონდა მოხვეული. კაცს გაელიმა — ესენი დორტმუნდში მიდინან საქართველოს თამაზზე, გაიფიქრა და ახალგაზრდების სის შეშურდა, რომ გადაწყვიტა, ხვალ მეც გავყვები ქართველებს ჩვენი ბიჭების საქომასვლელში შუახანს მიტანებული, კარგად ორგანიზოდა. იზებულ ჯებულად ჩაიარეს. გამოსასვლელში შუახანს მიტანებული, სასიამოვნო გარეგნობის ქალი გამოჩნდა. ჩემოდან მოაგორებდა, მხრებზე არც ისე პატარა ზურგჩანთა ჰქონდა მოგდებული. „ნელი შეტყობია“-ო, გაიფიქრა კაცმა და სახეზე ნამოახურა — შერცხვაო, თითქოს, ფიქრის.

— გამარჯობა, — მიესალმა ქალი.

— გამარჯობა, ირ, როგორ იმგზავრე?

რუსთაველის წინ. მერე, გეგონები მილიდან გამოეკვაო, ორივე ხელი მოხვია, მკერდზე მიიკრა და ლოყაზე აკოცა.

— კარგად, გმადლობ. ნამეტანი გაგრძელდა გზა. ოთხ საათზე მეტი ჩაჭუჭული ვიჯექი თვითმფრინავში. მგონი, სკამის ფორმა მივიღე.

— კარგი დაბნეული იყო ბიჭების შემთხვევაში.







აგენტი  
პრესი სოლოლაკისა

აზოს აქამდე რომეოსა და ჯულიეტას  
ამპავი არასდროს მიუტანია გულთან. აბა,  
რა მოსაყოლი ეგ იყოო. თუ არ შეიძლებოდა  
მათი სიყვარული, იმ დაღლცილებს სხვა  
შეეყვარებინათ, რაღა ერთმანეთს შეკვედ-  
ნენო. ასე ფიქრობდა, სანამ თვითონ არ შე-  
უყვარდა და პირველივე სიყვარული ისეთი  
ნინააღმდეგობრივი შეხვდა, რომ მეტი არ  
შეიძლებოდა. საქმე ისაა, რომ მას დედინა-  
ცვლის დისმვილი, ნასტენკა, ჩაუვარდა გუ-  
ლში.

დამეტებს თეთრად ათენებდა აზო. აუყვებონდა და ჩამოწყვებონდა ხოლმე სოლოლაკის სუსტად განათებულ ქუჩებს და ისე ეთშესაძლო სამყაროს ნატრობდა, რომელშიც არც ერთი სულიერი მეორეს ცხოვრბაში ცხვირს არ ყოფს. მაგრამ, აბა, სხვაზე რომ ამბობს, თვითონაც ხომ ხშირად გაუჭორია ვიღაცები და ახლა ყურები ისე უხურდა, რომ ზუსტად იცოდა, მისი ამბავი ისევე ნეღლა და აუქჩარებლად ვრცელდებოდა მთელს თბილისში, როგორც მომაკვდინებელი სენი ძლიერ სხეულში. საბოლოოდ ეს ამბავი მის მშობლების ყურამდეც მივა და, აი, მაშინ დასრულდება ყველაფერი. სჯობს, რომ თავად მოისწრაფოს სიცოცხლე. ამიტომ, აი, ამ ღერსაც მონევს და სახლში ავა.

სახლში ასულს დაკოჭლებული არუთინა დახვდება. მაღალი და გამხდარი კაცი, რომელიც სამომავლოდ შეიღინებულებს შეიძულებს გვარის შეცვლის გამზ. ის ალბათ ახლა ჩას მიირთმევს სათენიკასთან ერთად. სავარაუდოდ თავიანთ პატარა სამზარეულოში სხედან და დადარდინანგულები შეიღს ელოდებიან, რომელიც ბოლო დროს სახლში გვიან ბრუნდება. ისინი მანამ არ დაიძინებენ, სანამ აზო კარის ზღურბლს არ გადაკვეთს. წესით სიჩუმეში უნდა ისხდენ, რომელსაც მხოლოდ სათენიკას ყაისნალების წ ჯარინი თუ თაარღოვავს ხოლმე.

„შვილსო“ იმეორებს გულში აზო და ეც-ინება. ყოველ შემთხვევაში, სათენიკაში ის შვილად მიიღო, მაგრამ, აბა, რანაირი შვილია, როცა არტითხას ის პირველი ცოლის-გან ეყოლა. სათენიკა კი მერე გამოჩნდა. მან აზო პირველივე დღიდან მიიღო შვილ-ად და მოელს თბილისს უთხრა, რომ მე აზოს სახით საყვარელი ვაჟი მყავსო. ეს მართლაც ასე იყო, აზო სათენიკასგან ყოველ-

ოცემთურს ყაზარის და ბაზული მუწების შეკეთებაზე რომ ეწუნურებოდა.

ალბერტ აგამალოვს ბიზნესსკოლაში არ უსწავლია, თუმცა გუმანით იცოდა, რომ თითოეულ ადამიანს აქვს საჭიროება და თუ იპოვი ორ ურთიერთგადამცველი ინტერესების მქონე კაცს და მათ შორის ამბავი გაჩარხავ, შენ დიდ ფულს თუ არა, სურ მცირე პატივისცემასა და დაფასებას მანი, მიიღებ მათგან და მაშინ ეს ისე საჭირდებო

# დათო გველესიანი

უკვე დიდი ხანი იყო, რაც არ გამოჩენილა.  
მისი მოლოდინით დაღლილი ბეკეტი კი  
თავად აპირებდა მასთან წასვლას, მიუხე-  
დვად იმისა, რომ ზუსტად არ იკოდა, სად  
ცხოვრობდა ეს გოდო, ან ვინ იყო, მის მოსა-  
ძებნად დიდი რაოდენობის ფული და ბენ-  
ზინი სჭირდებოდა. შუშას კი ფულად ვერ  
აქცევ, ყოველ შემთხვევაში, სწრაფად, გან-  
სხვავებით ბენზინისგან, რომელიც ყველა-  
სთვის საჭირო რამ არის. ამიტომ სემუელ  
ბეკეტს არც კი უფიქრია, ისე დათანხმდა  
ალბერტის წინადადებას, რომელიც შეხვე-  
დრას ყაზარმიდან რამდენიმე ათეულ კილ-  
ომეტრში უნიშნავდა.

იდგა ალბერტი ჯარში გაცნობილ უახლოეს ძმაკაცებთან, ძმაკაცის მეგობრებთან და უცნობ ადამიანებთან ერთად ბენზინ-მომარაგებული და ელორდა სემუელ ბეკტს, რომელიც შეხვედრაზე აგვიანებდა. ალბერტს ძმაკაცებზე მეტად სცოლდა. ის პასუხისმგებლობა ამცირებდა, თავის თავზე რომ აეღო. მისი თავისნობით ბენზინი რამდენიმე კამაზით გამოიტანათ ყაზარმიდან და თუ მალე არ დაბრუნებდნენ, ამის შემჩენევა ოცმეთაურს არ გაუჭირდებოდა. ამაზე ფიქრით სულ უფრო ეყინებოდა ხელები და ადგილზე ბორგვით თოვლი მინამდე დაეყარა.

ଦ୍ୟାଲୁସ୍ବ୍ୟାଳେଖକୀଁ ଶୈଘରନ୍ଦେହା, ରମେଣ୍ଟିଙ୍ଗ  
ରାମଦେଖିମେ ସାତାତିର ନୀଳ ଦିକ୍ଷାପତାନ ସାରଫ୍ଯାନି  
ସାଜମିଳିଲ ଗାଢିନାର୍କେବିଲାସ ଉୟକ୍ଷାଲେଖବୋଲା, ଅଛଲା  
ଶେମ୍ବୁଲ ଦ୍ୱୟାକ୍ରିଲ ବେଲଶି ପ୍ରମ ଦା ଏହ ଆଶରା  
ଅଲ୍ପେର୍କ୍ଷିଲ ଫ୍ରେଶ୍‌ମିଡାନ ଶ୍ଲିଳିଲା. „ରମି ଆର ମୋହି-  
ଦେସ?“ — ଫ୍ରୋକ୍ରନ୍ଦବା ଅଲ୍ପେର୍କ୍ଷିତି ଦା ଧରନ-  
ଦାଫରନ ତାଙ୍କିଲ ମଦାପାଚ୍ଚେବ୍ର ଗାଢାକ୍ଷେଦାଵା ବେ-  
ଲମ୍ବି. ମାନ୍ଦିଲ ନୁଲିନା, ଆମାତମା ପ୍ରମିତାଲ୍ପରାନ  
ହିରୁଶ୍ଵାନ, ମାଗରାମ, ଆପି, ଓ ମେଗନପରିଲ ମେଗନପର-  
ିଲାକୁ ପାଇଁ ପିଲାମିନ. ଅମିରତମା ପାଇଁଲ.

თუმცა ამზე დარდი დიდებანს აღარ გა-  
ჰყოლია, რადგან ალბერტი მალევე მიატო-  
ვა ყველამ. ახლა ის უკვე მარტო ელოდა  
კაცს, რომელიც არც კი იცოდა, სახეზე რო-  
გორი იყო. მხოლოდ ის ახსოვდა, რომ შუ-  
შის ქარნის დორეგტიორი იყო და ალბერტს  
ყაზარის ფანჯრების დაბზარული შუშები  
ის გამოკვლას პპირდებოდა, რომელებშიც  
უკვე დიდი ხანი იყო, რაც ჯარისკაცები  
თავანთ თავებს ვეღარ ცნობდნენ.

მერე, როცა ალბერტი, ყაზარმის ფანჯრების ახლადგამოცვლილ შუშებში ულვაშების გასწორებაზე გადავა, იამაყებს, რომ იმ ღამეს, როცა სეტუელ ბეკეტს ელოდა, ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, რადგან თამარას რომ შეხვდება, მოუყვება რაინდულ ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ დაამარცხა ვინმე ალბერტმა შუალამისას უიმედობით შეიარაღებული უსასრულო მოლოდინი, ყოველ წამს სულ უფრო მეტად რომ ყინავდა, აღამებდა და ადიდებდა ღამეს.



